ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 2580 ოთხშაბათი, 11 აგვისტო. 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2580

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე- —5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

უდროვოდ გარდაცვალებულის ექიმის

სამსონ ბესარიონის ძის თოფურიას

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გარდახდილ იქნება ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში ხუთშაბათს, 12 აგვისტოს, დილით, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და პატივისმცემელთ ძმები განსვენებულისა მღვდელი **კონსტანტინე, მიხეილი და ლუკა** და ძმის-წული **გიორგი კონსტანტინეს ძე თოფურიები.** (2—6—2)

განცხადება.

რჩევა ქუთაისის ქალთა სამეურნეო საზოგადოების „შრომა"-სი ამით უცხადებს ტივცემულ საზოგადოებას: ზოგადოების მიერ აღძრულია სადაც ჯერ არს შუამდგომ- ობა, რომ მან გახსნას ენკენისთვიდან ამა 1904 წლისა ქალაქ ქუთაისში **ქალთა სა- ურნეო სკოლა** მეოჯახეობისა, შემდეგის უფლებებით:

1) დაარსდეს ხუთის წლის სამოსწავლო კურსი;
2) სკოლაში მიიღებიან ქალიშვილები დაბადებიდან არა ნაკლებ თერთმეტის წლისა, აგრეთვე ქალებიც;
3) სკოლაში შეისწავლიან პრაქტიკულად და თეორეტიულად შემდეგ დარგს მეურნეობისას: ა) მე- ეშუმეობას, ბ) აბრეშუმის თესლის გარჩევას, გ) საქსოვებზე ფართლეულობის ქსოვას, დ) მზარეულობას, ჭრა-კერვას, ვ) ჩულქის ქსოვას და ხელსაქმობას მაშინაზე, ზ) რძის ხელობას, თ) მებოსტნეობას, ი) მე- ტკრეობას და კ) ფრინველთ მოშენებას.
4) სწავლის კურსი პირველად იქნება ორ კლასიანი, ნორმალურის სკოლის პროგრამმით; შემდეგში-კი ად გაფართოვდება.
5) ყოველ წლიური გადასახადი დადგენილია:
ა) სწავლის უფლებისა—20 მან.
ბ) პანსიონერებზე: 1) თავის ტანისამოსით—100 მან და 2) სკოლის ტანისამოსით 130 მან., რო- ლიც უნდა გადახდილ იქნას: სწავლის ფულის ნახევარი სკოლაში შესვლისათანავე და მეორე ნა- ვარი იანვრის თვეში სამოსწავლო წლისა, პანსიონერების-კი სამ წილად: ერთი წილი სკოლაში შესვლისა- ავე, მეორე ქრისტეშობის თვეში და მესამე მარტში სამოსწავლო წლისა.

თხოვნები უნდა იქნეს მიმართულნი რჩევის სახელზე და მირთმეულნი თავმჯდომარის ხანაგის **ნ. პ. ქიქოძისადმი**, მის საკუთარ სახლში ქალაქ ქუთაისს, ჯაიანის შესახვევში, ევაშოვის ქუჩისა, ოც მომავალ მარიამობისთვემდი და შემდეგ კი სკოლის კანცელარიაში.

შენიშვნა: სკოლასთან იქნება გახსნილი ცალკე სპეციალური განყოფილება მეოჯახეობის რომელისამე რგის შესასწავლებლად, რომლის სწავლის ფასში უნდა შეურიგდნენ სკოლის უფროსს.

თავმჯდომარე რჩევისა კნ. მ. გ. ჩერქეზიშვილისა.
თავმჯდომარის ამხანაგი ნ. პ. ქიქოძისა.
წევრები რჩევისა
1) კნ. ა. ა. დადეშქელიანი.
2) კნ. ა. ი. ნიჟარაძე.
3) ა. გ. კემულარია.
ხაზინადარი რჩევისა ა. ბ. ლორთქიფანიძე.
მდივანი რჩევისა მ. ო. გარდასანიძე. (ნ. 10—4)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
კურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
ა. **გედევანიშვილი.**—შინაგანი, ნერვებისა წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ნ. **დიასამიძე.**—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. ილ. და კანისა 11—12 საათამდე.
ფ. **მულინი.**—ყურისა, ყელისა და ცხვირის. —11 საათ.
ი. **ბალარჯიშვილი.**—ბავშვებისა. 9—10 ს.
შ. **ხოგოლევსკი.**—ხირურგია და ორტო. : ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. —3 საათამდე.
ა. **ბეიერი.**—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 ყოველ დღე.
ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და სა- სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.
მ. **მონინი.**—ქალისა, საბებიო და ბავშ. წმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაო- 11—12 საათამდე.
ნ. **ტუიშელაშვილი.**—კბილისა, 9—11 საათამდე.
საღამოთი:
შ. **ხოგოლევსკი.**—ხირურგია და ორტოპედია. შაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული ბაკტერიოსკოპიული გამოკვლევანი.
სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერ ციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდა- მდე.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის იდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. ლის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
ებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობ ელექტრონით.
ონის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

პანსიონი
ის ქუჩა, № 71. ისარლოვისეული სახლი.
ალექსანდრე გიორგის ძე
მირზაშვილისა.
ებიან ვაჟები საშუალო სასწავლებლებში მესამე მდე მოსამზადებლად და აგრეთვე საზემლემერო ვლებელში. (150—218—14)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
ებს **თვალით ავადმყოფებს** ყოველ დღე, 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათო- მხოლოდ საღამოობით. კიროჩნის და დიდი ის ქუჩ. კუთხე, სახლი სვანიშვილისა № 11 ჩნი ქუჩიდან).

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 აგვისტო

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტის ლიაპუნოვის დეპეშა, მისს უდიდებულესობას 8 აგვისტოს, ნაშუალამევს 1 საათსა და 10 წუთზე გამოგზავნილი: „ამ საათში კორსაკოვის კამანდის (სახალინი) უფროსმა დეპეშით გვაუწყა, რომ დღეს დილის 7 საათიდან იაპონელებმა ზარბაზნები დაუშინეს კორსაკოვის სადარაჯო სადგურს. ჯერ-ჯერობით დაზიანებულია რამდენიმე სახლიო. დილის 4 საათსა და 3 წუთზე კორსაკოვის კამანდის უფროსმა დამატებითი დეპეშით გვაუწყა, რომ იაპონელთა გემი დილის 6 საათზე გამოჩნდა კორსაკოვის სადარაჯო სადგურის პირდაპირ ჰორიზონტზე, 7 ვერსის მანძილზე მოუახლოვდა ნაპირს, ზარბაზნები დაუშინა სადგურს და დილის 8 საათსა და 15 წუთამდის არ შეწყვეტილა სროლა; შემდეგ კი ნელა წავიდა ზღვაში და თვალთაგან მიგვეფარაო. მტრის ყუმბარებმა მცირედ დააზიანეს ქალაქი. კაცთაგან არავინ არ დაშავებულა. ზემოხსენებულს უქვეშევრდომილესად ვაუწყებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას".

მუკდენი (სააგენტ. საკუთ. კორესპ.). გავრცელდა ხმა, რომ 6 და 7 აგვისტოს იაპონელებმა ხელ-ახლად მიიტანეს იერიში პორტ-არტურზე, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ დიდის ზარალითაო.

შანჰაი („რეიტ. სააგ."). ამერიკის ადმირალმა სტერლინგმა გამოაცხადა, რომ ამერიკის ნალმიან გემს „ჩონსეი"-ს ვუზუნიდან შანჰაის დეპეშები მიჰქონდა და იმის მოსვლას არავითარი კავშირი არა აქვს იაპონიის ნალმიან გემების მისვლასთანაო.

იალტა. მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების გამო ბუხარის ემირმა შეიტანა 100 ათასი მან. ხელმწიფე დედოფალ ალექსანდრა თეოდორეს ასულის კომიტეტში შორეულ აღმოსავლეთს დაჭრილთა და ავადმყოფთათვის საწოლების გასამართავად.

გონკონგი („რეიტ. სააგ."). აქ მოვიდნენ იუნჩინგის ბუხტაში გარიყულ რუსის ნალმიან გემის „ბურნი"-ს მეზღვაურნი, 65 კაცი. განკარგულების მიღებამდის მეზღვაურნი ინგლისის გემზე დასხეს.

დურბანი (ნატალი) („რეიტ. სააგ."). აქ მოსული გემი „კომედიენ"-ი იტყობინება, რომ ის გააჩერა რუსის კრეისერმა ზღვაში, მდინარე ბაშის პირდაპირ. რუსებმა ნება მომცეს განმეგრძო გზაო.

ჩიფუ („რეიტ. სააგ."). სარწმუნო ცნობებიდან სჩანს, რომ იაპონელებს პორტ-არტურთან 30 ათასი კაცი მაშველი ჯარი მოუვიდათ ჩრდილოეთიდან. არტურთან გამწვავებულ იერიშს განაგრძობენ. ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული, რომელ მხარეს დარჩება გამარჯვება. არტურიდან მოსული ჩინელი ამბობს, რომ იაპონელები არტილერიის დახმარებით განუწყვეტლივ იერიშით მიდიან და წავიდნენ წინ გოლუბინაია ბუხტის მიდამოში, დასწიეს რუსები უმთავრეს დასაცველ ადგილებიდან; მაგრამ იაპონელებმა მაინც ვერ შესძლეს შეერჩინათ პოზიცია და რადგან რუსები საშინლად უშენდნენ ზარბაზნებს, იძულებულნი გახდნენ ჩრდილოეთისკენ დაწეულიყვნენ. იაპონელები 48 საათის განმავლობაში ყუმბარებს უშენდნენ იცშანის გორაზე უმთავრეს ციხეს, შემდეგ ქვეითა ჯარი წავიდა წინ და შეავიწროვა რუსები, მაშინ რუსის არტილერიამ პოზიციებიდან დაუშინა ყუმბარები და იაპონელებს უკან დაახევინა

10 აგვისტო.

ჩიფუ („რეიტ. სააგ."). პორტ-არტურიდან მოსული ჩინელები ამბობენ, რომ უმთავრეს იერიშის დროს იაპონიის ჯარი უფრო მიესია ცენტრსა და მარჯვენა ფრთეს. ცხარე ბრძოლა იყო გოლუბინაია ბუხტასთან. დიდ იერიშამდე, რამდენისამე დღის განმავლობაში, იაპონელებმა ვერც ერთხელ დიდხანს ვერ შეინარჩუნეს აღებული პოზიციები. იერიში უმთავრესად დილით მიაქვთ ხოლმე, მაგრამ სარგებლობენ დილა ადრიანითა და ნისლიან ამინდით, რომ რუსებმა ვერ დაინახონ. იაპონელები ჰფიქრობენ, რომ მუდმივის იერიშებით მოჰქანცავენ რუსებს. გენერალი სტესსელი ცხენით დადის და ათვალიერებს ციხის მიდამოებს. აფიცრები და სალდათები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ყუმბარებს, რომლებიც ქალაქში ეცემა. საზოგადოდ, ესენი მეტად მამაცნი არიან და ყურადღებას არ აქცევენ განსაცდელს.

ჩიფუ (სააგ. საკუთ. კორ). ჩინელთა ცნობებით, 8 აგვისტოს დილის 6 საათიდან იაპონელებმა ყუმბარები დაუშინეს პორტ-არტურს, რაშიაც მონაწილეობა მიიღო აგრეთვე იაპონიის გვარდიის არტილერიამ. ჩვენმა ბატარეებმა პასუხი გასცეს და პირველ საათისთვის ჩააჩუმეს მტრის ბატარეები. იაპონიის ფლოტი ზღვაში წავიდა.

ლიაოიანი. კუროკის ჯარი, რომელიც შესდგება გვარდიისა, მე-2 და მე-12 დივიზიებისა, 3 სარეზერვო ბრიგადისა და სატერიტორიო ჯარისაგან, გამაგრდა მდინარე ტაიძხეს სამხრეთ ნაპირზე, ბენსიხეს სამხრეთით. ერთი დივიზია გაიგზავნა აღმოსავლეთით ძიანშანისაკენ, სიოსირის სამხრეთით. ნოძუმ კუროკის მაშველი ჯარი გაუგზავნა.—მართლდება ხმა ოკუს ჯარიდან სამხრეთისკენ 13 პოლკის გაგზავნის შესახებ.—ხაიჩენიდან პორტ-არტურამდე იაპონელები სცვლიან რკინის გზის ლიანდაგის სიგანეს, რათა ამით ხელი შეუშალონ რუსის ვაგონების მიმოსვლას.—რუსის ჯარის მთავარ სადგომში იმედი აქვთ, რომ მომავალ კვირას მოხდება რუსის ჯარის სტრატეგიულ მდგომარეობისთვის საკეთილო ცვლილება.

ბერლინი. გერმანიის იმპერატორის ბრძანებით, გერმანელთა ორივე აფიცერი, რომელნიც პორტ-არტურში იყვნენ, წავიდნენ ციხიდან საფრანგეთის ატაშესთან ერთად. (რედაქციის შენიშვნა: მიღებულ ცნობებით, ამერიკის საზღვაო ატაშეც წავიდა პორტ-არტურიდან).

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. ლიაოიანიდან დეპეშით ატყობინებენ „რუს"-სა: სამი დღე წვიმდა და ყველაფერი წალეკა. სამხედრო მოქმედება თითქმის სულ შედგა, მხოლოდ ხუნხუზები დღესაც მოსვენებას არ აძლევენ რუსის ჯარს. 3 აგვისტოს ღამით პოდპოლკოვნიკ სპირიდონოვის მატარებელს თოფი დაუშინეს და ლიაოიანს ახლო კიდევ დაანგრიეს რკინის გზა.

„ფრანკფურტს ცაიტუნგ"-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება იოკოგამიდან: 1 აგვისტოს, კვირა დღეს, ლიაოიანთან ბრძოლა დაიწყოო. („რ. ლ.").

„ბერლინერ ტაგებლატ"-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი სწერს: გენ. კუროპატკინს ამ ჟამად თითქმის იმდენივე ჯარი ჰყავს, რამდენიც იაპონელებსაო. რუსის მთავარ-სარდალს ლიაოიანს ახლო 250 ათასი კაცი ჰყავს და 600 ზარბაზანი აქვს, ამიტომ, ჰფიქრობენ, ლიაოიანთან უსათუოდ შეებრძოლება იაპონელებსაო. („მ. ვ.").

„მორნინგ პოსტ"-ის მოსკოველი კორესპონდენტი სწერს: სარწმუნოდ გავიგე, რომ ამ ჟამად ხარბინში რუსები დღე და ღამ მუშაობენ და 60 კაზარმას აშენებენ რუსეთიდან მომავალ ჯარისათვისაო. („რ. ლ.")-

„ტაიმს"-ის კორესპონდენტი იუწყება: რუსებს ჩრდილოეთ კორეაში სხვა-და-სხვა ადგილებში 3 ათასი ჯარის-კაცი უდგათო. („რ. ვ.").

იაპონიის კონსულმა ჩიფუში გამოაცხადა, ტოკიოს მთავრობა არ დაუბრუნებს „რეშიტელნი"-ს რუსეთს, რადგან ამ გემს სანალმე აპარატი გატენილი ჰქონდაო.

28 ივლისის ბრძოლის შემდეგ რუსის ჯავშნიანი გემი „ცესარევიჩ"-ი და სამი ნალმიანი გემი გერმანიის პორტში ცინდაოში შევიდნენ. ამის თაობაზე გაზ. „ლოკალ ანცაიგერ"-ი სწერს: რასაკვირველია, გერმანია მტკიცეთ შეასრულებს საზოგადო საერთაშორისო წესს. ამ წესის ძალით მეომარ სახელმწიფოს გემს, თუ სიარულის თავი აქვს, მხოლოდ 24 საათით შეუძლიან ნეიტრალურ პორტში გაჩერება. მაგრამ თუ გემი დაზიანებულია, მაშინ სხვა წესს მისდევენ. ამერიკამ, გერმანიამ, ინგლისმა, იაპონიამ და სხვა სახელმწიფოებმა ხელშეკრულება დასდეს და დაზიანებულ გემებისათვის სხვა წესები დაადგინეს. ამ ხელშეკრულობის ძალით, ნეიტრალურ პორტის კომენდანტი, გუბერნატორი, თუ ვინცაა უფროსი, დაზიანებულ გემსა ჰსინჯავს, ვადას ჰნიშნავს გემის შეკეთებისათვის და ყურს უგდებს, რომ რაც შეიძლება, ჩქარა შეკეთდეს. რამწამს შეაკეთებენ, გემი მაშინვე ან ნავთსადგურიდან უნდა გავიდეს, ან არა და იარაღი აიყაროს. იარაღ-აყრილი გემები ომის გათავებამდე ნეიტრალურ სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ იმყოფებიან. ნეიტრალურ ნავთსადგურში დაზიანებული გემი მხოლოდ ისე უნდა შეკეთდეს, რომ სიარული შეეძლოს; ბრძოლისათვის მომზადება კი, მაგალითად ჯავშნის და იარაღის შეკეთება და ყუმბარების შეძენა არ შეუძლიან. ქვა-ნახშირი იმდენი უნდა დაუდოს, რამდენიც თავის სახელმწიფოს ახლობელ პორტამდე მისასვლელად ეყოფა. ცინდაოზე ახლობელ რუსის პორტად, ალბად, პორტ-არტური ჩაითვლება. („ნ.").

პორტ-არტური. ჩინელები ამბობენ, იაპონელებმა ფორტი (სიმაგრე) გალუნგშუნი დაიჭირესო. ეს ფორტი ორის ვერსტის სიშორეზეა პორტ-არტურიდანაო. („რ. ლ.").

ინგლისური გაზეთები სწერენ, პორტ-არტური დიდხანს ვერ გაუმაგრდება იაპონელებს, რადგან გენ. ნოგის გაცილებით მეტი ჯარი ჰყავს რუსებზეო. („რ. ლ.").

იაპონიის ფლოტის უფროსმა გამოუცხადა პორტ-არტურის კომენდანტს, ნავთსადგურს ლიდიტის ყუმბარებს დავუშენო. ლიდიტის

ყუმბარას ვერაფერი ვერ უძლებს; ყველაფერს ანგრევს და მტვრად აქცევს. („ნ. ვ“.)

ბევრნი დარწმუნებულნი არიან, პორტ-არტურის დღე დათვლილია და საცაა იაპონელები ჩაიგდებენ ხელში ამ მიუვალ ციხესო. გერმანიაში ჰფიქრობენ, პორტ-არტურის აღებას მეტად დიდი მნიშვნელობა ექნებაო. გენ. ნოგის არმია განთავისუფლდება და ლიაოიანისაკენ წავა გენ. კუროკისა, ოკუსა და ნოძუს საშველად. მაშინ იაპონელები ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულზე მთლად გაბატონდებიან. იქნება პორტ-არტურის აღების შემდეგ ნეიტრალური სახელმწიფოები საქმეში გაერევნენ და რუსეთი და იაპონია შეარიგონო. ზოგიერთი გერმანელი პოლიტიკოსი ჰფიქრობს, ეს მეტად მარჯვე წამი იქნება შესარიგებლადაო. გაერევიან თუ არა სახელმწიფოები—ეგ ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ ის-კი ნამდვილია, რომ პორტ-არტურის აღება ყველა დიდ სახელმწიფოს ფეხზე დააყენებს და დიდ პოლიტიკურსა და დიპლომატიურ მოლაპარაკებას გამოიწვევს. („რ. ლ.“).

ვლადივოსტოკის ესკადრისა და ადმირალ კამიმურას ესკადრის ბრძოლა, 1 აგვისტოს. ამ ბრძოლის თაობაზე „რუსსკია ვედომოსტ“-ის სამხედრო თანამშრომელი სწერს: ეხლა ვლადივოსტოკის ესკადრა კარგა ხანს ველარ ითარეშებს იაპონიის ზღვაში. სანამ ბალტიის ესკადრა შორეულ-აღმოსავლეთს არ ჩავა, ვლადივოსტოკის ესკადრა ზღვაში ველარ გავაო.

ფრანგულ გაზეთებს ატყობინებენ ტოკიოდან: სასებოში 601 რუსის მეზღვაური მოიყვანეს კრეისერ „რიურიკი“-დან. ამათგან 23 აფიცერია. რუსის მეზღვაურებში 177 კაცია დაჭრილი. („რ. ლ.“).

ერთს იაპონელ მეზღვაურ აფიცერს უთქვამს, „რიურიკ“-ი მეტად მალე ჩაიძირაო. მაშინვე ნავები გავგზავნეთ რუსების გადასარჩენად. თითონ მე ჩემის ნავით 50 კაცი გადავარჩინე. ყველა რუსის მატროსს ზედ სარტყელი ჰქონდა შემოკრული, ამიტომ მალე არ იძირებოდა, ჩვენც მივდიოდით და ნავში ვსხავდითო. („რ. ს.“).

პორტ-არტურის ესკადრისა და ადმირალ ტოგოს ესკადრის ბრძოლა, 28 ივლისს. „დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი სწერს: 28 ივლისს დილით რუსებმა ჯერ წვრილი გემები გაგზავნეს ნაღმების ამოსალებად. მერე დიდი ჯავშნიანი გემები გავიდნენ ერთი მეორის შემდეგ, წინ „ცესარევიჩ“-ი მიდიოდა ადმირალის ბაირაღით. ჯავშნიან გემებს კრეისერები მიჰყვნენ; ნაღმიანი გემები ორსავ მხრივ გვერდში ამოუდგნენ დიდ გემებს. ადმირალ ტოგოს ესკადრაც მალე წინ დაუხვდა რუსებს და ბრძოლის რიგზე გამწკრივდა: დიდი ჯავშნიანი გემები ცალკე გამწკრივდნენ, სხვა გემები ცალკე. იაპონელები რუსებს $4^1/_2$ მილის სიშორეზე დაუახლოვდნენ და თან დაედევნენ. რუსის ესკადრის მეთაური „ცესარევიჩ“-ი უცებ აღმოსავლეთისაკენ მიბრუნდა, იაპონელებიც წინ გადაეღობნენ. სამჯერ იბრუნა პირი რუსის ესკადრამ, მაგრამ იაპონიის ფლოტი სულ წინ უხვდებოდა. ბოლოს იაპონელებმა 4 მილის მანძილიდან (7 ვერსიდან) ზარბაზანი დაუშინეს რუსებს, ნაღმიანმა გემებმა გზაში მცურავი ნაღმები მოფანტეს. „ცესარევიჩ“-ი მალე დაზიანდა; მის ადგილას „რეტვიზან“-ი ჩადგა და პირდაპირ იაპონიის ესკადრისაკენ გაქანდა. „ცესარევიჩ“-იდან შენიშნეს, რომ რუსის ჯავშნიანი გემი „პერესვეტ“-იც მალე გვერდზე გადიხარა.

„დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი სწერს: „28 ივლისს შანტუნგის ახლო იაპონელებმა წრე შემოავლეს რუსის ჯავშნიან გემ „ცესარევიჩ“-ს და ზარბაზანი დაუშინეს. ახლო მანძილიდან ყუმბარა სეტყვასავით მოდიოდა; ზარბაზნის ჰექაქუხილი მეზღვაურებს აყრუებდა. რუსის არტილერისტები ბრძოლისაგან ისე დაიქანცნენ, რომ აღარა შეეძლოთ-რა. ყუმბარებს „ცესარევიჩ“-ის ჯავშანი ისე მიუგრეხ-მოუგრეხია, თითქო ჟესტისა ყოფილიყოს და არა ნაწრთობ სქელ ფოლადისა. ყუმბარის ნატეხები ას მეტრის მანძილზე იშლებოდა აქეთ-იქით. ორი დიდი ზარბაზანი ძლიერ დაზიანებულა. გემის ნავები სულ მილეწილა, პალუბა სისხლითაა მორწყული. „ცესარევიჩ“-ის მეზღვაურები ამბობენ, ეს ბრძოლა კი არა, ნამდვილი ჯოჯოხეთი იყოო. ზოგიერთს თმა და წვერი გაჰთეთრებოდა ამ ბრძოლის დროს. ისეთი საშინელი სროლა იყო, რომ აფიცრების კომანდა სულ აღარ ისმოდაო. ადმირალ ვიტგეფტს სიკვდილის წინ დაეძახნა: „ეს უკანასკნელი ბრძოლაა. ყოჩაღად მოიქეცით, ძმებოო“. სამი მოკლული აფიცერი და 12 მატროსი ზღვაში დაესაფლავებინათ, დანარჩენი ცინდაოში დაასაფლავეს. („ნ. ვ.“).

„დეილი ნიუს“-ის კორესპონდენტს, ადმირალ რეიცენშტეინის ნებართვით, შანხაიში რუსის კრეისერი „ასკოლდ“-ი დაუთვალიერებია. კორესპონდენტი სწერს: ყველაფრიდან სჩანდა, რომ გემს საშინელი ბრძოლა გამოევლო. „ასკოლდ“-ს დაახლოვებით 200-მდე ყუმბარა მოჰხვედრია. პალუბა ძლიერ აქვს დაზიანებული. ორი საკვამლე პატარა ზარბაზნის ყუმბარებს სულ დაუცხავებია. ერთ საკვამლეს ძირში დიდი ყუმბარა მოჰხვედრია და გვერდზე გადაუსროლია. უკანა საკვამლე ზედ შუაზე გაუწყვეტია ყუმბარას. ერთი 8-დიუმიანი ყუმბარა კრეისერს გვერდში მოჰხვედრია და ქვა-ნახშირის საწყობში ჩარჩენილა. ერთი 12-დიუმიანი ყუმბარა პალუბაზე დაცემულა და 4 რკინის ნავი დაულეწია. მეორე 12 დიუმიანი ყუმბარა მარჯვენა გვერდში შუა ადგილას მოჰხვედრია, კაიუტ-კამპანია გაუხვრეტია, მარცხენა გვერდამდე მისულა და რაც-კი წინ შეჰხვედრია, ყველაფერი გაუნადგურებია. კაპიტნის ხიდის ქვეშ ყუმბარის ნატეხებს ყველაფერი სულ დაუცხრილავს; ბრძოლის ფარნები ისე დაზიანებულა, რომ იმათი შეკეთება შეუძლებელია. ნაღმების წინააღმდეგი ბადეც სულ მთლად გაფუჭებულია. კრეისერის ძირიც დაზიანებული გამოდგა: იაპონელებს ნაღმი მოუხვედრებიათ. ეტყობა, საჭეც დაზიანებულა. „ასკოლდ“-ზე 12 კაცი მოუკლავთ და 50 დაუჭრიათ.

„დეილი ტელეგრაფ“-ს ატყობინებენ: 28 ივლისს იაპონელებს 5 ნაღმი მოუხვედრებიათ „ცესარევიჩ„-ისათვისაო. („ნ. ვ.“).

ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ ტოკიოდან: 28 ივლისს რუსის ესკადრა სამხრეთისაკენ მიდიოდა, კიაოჩაოში (ცინდაოში) შესვლა უნდოდა; იქ დაჰხედავდა და გარემოების დაგვარად მოიქცეოდა: ან იარაღს აიყრიდა და ომის გათავებამდე ცინდაოში დარჩებოდა, ან ისევ გამოვიდოდა. ადმირალი ტოგო მიჰხვდა რუსების განზრახვას, უმთავრესად რუსის ჯავშნიან გემებს დაატანა ძალა და სამხრეთისაკენ აღარ გაუშვა. დაბინდებისას რუსებს ნაღმიან გემებას იერიშისა შეეშინდათ და პორტ-არტურისაკენ დაიხიეს. („ნ. დ.“).

უმეტესობა ამბობს, რაკი იაპონელებმა მგლის გორები დაიჭირეს და ნავთსადგურს ზარბაზანი დაუშინეს, რუსის ესკადრას პორტ-არტურში აღარ ედგომებოდა, ამიტომ ზღვაში გავიდა და ვლადივოსტოკისაკენ წასვლა დააპირაო. „ლოკალ ანცაიგერ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი ამტკიცებს, საქმე სულ სხვა ნაირად იყოო. ადმირალ სკრიდლოვს დიდი ხანია ნაბძანები ჰქონდა, რომ პორტ-არტურის ესკადრა ვლადივოსტოკისაკენ წასულიყო. ეგაა იაპონელებმა 10 ივნისს ღამეს ნაღმით ჯავშნიანი გემი „სევასტოპოლ“-ი ძლიერ დააზიანეს და პორტ-არტურის ესკადრა ამ გემის შეკეთებას ელოდა. „სევასტოპოლ“-ის შეკეთებას 38 დღეს მოუნდნენ და რამწამს შეაკეთეს, ესკადრაც ზღვაში გავიდაო. („ნ. დ.“).

რა მოუვიდათ რუსის დანარჩენ გემებს, დღესაც ნამდვილად ვერ შეიტყეს გაზეთებმა.

პორტ-არტურიდან ჩინელები მოსულან ჩიფუში და ულაპარაკნიათ, პორტ-არტურიდან 1 აგვისტოს გამოვედითო და ჩვენს დროს იქ მხოლოდ 4 ჯავშნიანი და რამდენიმე პატარა გემი დაბრუნდაო. ყველა გემი დაზიანებულია; რამწამს შეაკეთებენ მაშინვე ზღვაში გამოვლენო. იაპონელები-კი დარწმუნებულნი არიან, რუსის ესკადრა ველარ გამოვა ზღვაში, რადგან იაპონელები ნავთსადგურს განუწყვეტლივ ზარბაზანს უშენენ და რუსის გემებს ისე დააზიანებენ, რომ ზღვაში გამოსვლის თავი აღარ ექნებათო.

„ჰავასის სააგენტოს კორესპონდენტი“ დეპეშით იუწყება ტოკიოდან: იაპონელები ამბობენ, რუსები თავიანთ დაზიანებულ გემებს ველარ შეაკეთებენ, რადგან იაპონიის არტილერია დღე და ღამ ზარბაზანს უშენს პორტ-არტურის დოკებს და გემების შეკეთებას შეუძლებელსა ჰხდის; შეუკეთებ კი, საეჭვოა, რომ რუსის გემებმა ზ გასვლა მოახერხონო. ამიტომ ჰფიქრ რუსები თავიანთ გემებს თითონვე ააფეთქებენო. („ნ. დ.“).

„მატენ“-ს ატყობინებენ ტიანძინიდან: 28 ივლისს ბრძოლის შემდეგ 5 რუსის ჯავშნიანი გემი პორტ-არტურს დაბრუნდაო. („ნ. დ“).

ზოგიერთ გაზეთს ვითომ ოფიციალური დეპეშა მოჰსვლია ტოკიოდან: ადმირალმა ტოგომ დამატებით მოახსენა საზღვაო შტაბს, რუსის კრეისერ „პალადა“-ს 28 ივლის ღამეს ნაღმიანმა გემებმა ნაღმი ესროლეს და ჩაძირესო.

პარიზში ცნობა მიუღიათ, 3 აგვისტოს გათენებისას ერთი რუსის სამხედრო გემი, „პალადა“-ს ტიპისა, ძლიერ დაზიანებული გამოვიდა პორტ-არტურიდან, იაპონელებმა ზარბაზანი დაუშინეს და ჩაძირესო. („ნ. დ.“).

„პტი პარიზიან“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან, კრეისერი „პალადა“ და კიდევ ორი სხვა რუსის გემი 28 ივლისს ბრძოლის დროს ჩაიძირაო. („ნ. დ.“).

„ლოკალ ანცაიგერ“-ის კორესპონდენტი სწერს: 5 აგვისტომდე პეტერბურგში სასანიტარო გემ „მონგოლია“-ზე არავითარი ცნობა არ მიუღიათ. არავინ იცის, რა მოუვიდა ამ გემს. („ნ. დ.“).

ამას წინად, დეპეშამ გვაცნობა, რუსის გემები 3 აგვისტოს პორტ-არტურიდან ზღვაში გავიდნენ და იაპონიის ფლოტი დაედევნათო. ამის თაობაზე გერმანული გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგ“-ი სწერს: ეს ცნობა ტყუილი უნდა იყოსო. რუსის გემები 28 ივლისს ბრძოლის დროს ძლიერ დაზიანდნენ და მხოლოდ ამ მიზეზით დაბრუნდნენ პორტ-არტურშიო. ხუთ დღეში გემების შეკეთებას ვერ მოასწრებდნენ, დაზიანებული გემები-კი როგორ გავიდოდნენ ზღვაშიო. („რ. ვ.“).

ახალი ამბავი

◆ როგორცა ვწერდით, სამინისტრომ შესცვალა წესდება ტფილისში განზრახულ **ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა.** სამინისტროს ორი მუხლი ჩაუმატებია და აქა-იქ მცირედ შეუცვლია. პირველ მუხლის ძალით, თუ ფილარმონიული საზოგადოება

ფელეტონი

პატარა ამბები

კარგს მოველოდეთ და არა ცუდს!—ჩვენებური უუფლებობის მაგალითები.—ერთის ფოსტის უფროსის გმირობა.—ეპილოგი.

ყოველივე სიკეთის მოლოდინში, დრო-გამოშვებით დავუბრუნდები ჩემს პატარა ამბებს. ადამიანს დაბადებიდანვე თან დაჰყვა ყოველგვარი მოლოდინი. დედამიწაზე ისეთი ადამიანი არ მოიპოვება, რომელიც რასმეს არ მოელოდეს მომავალში. რასაკვირველია, ცხოვრებაში ავიც მოგველის და კაიც. მაგრამ ადამიანები მუდამ სიკეთეს მოველით უფრო, და თუ რამ ცუდი და უბედურება შეგვემთხვა, იგი მოულოდნელი იქნება ჩვენთვის. ან კი და რა სასიამოვნოა, გაჭირვებას და განსაცდელს მოველოდეთ და ამის ფიქრებით ვიწამლავდეთ ისედაც მოშხამულს ცხოვრებას? არა კმარა, როდესაც უბედურნი ვართ და ვიტანჯებით, და ზედ კიდევ უბედურების მოლოდინი დავუმატოთ? მადლობა ღმერთს, რომ თუ ათასნაირი შევიწროვება და დაჩაგვრა სავალდებულოა, არ არის სავალდებულო, რომ მოველოდეთ ან ერთს, ან მეორეს და სულს ვიწუხებდეთ მით! გვეყოფა, ოდინდაც გვეყოფა მწარე საქმენი და არაა საჭირო მწარე ფიქრები! მით უმეტეს, რომ როგორც ერთი ბრძენი ამბობს, უბედურება, რომელიც უკვე გვეწვია, უფრო ადვილი ასატანია, ვიდრე ის, რომელსაც მოველოდებით, რადგან უკანასკნელი განუსაზღვრელია ჩვენთვის. მართლაც, დღეს თუ სახლკარი წამართვეს და უბინაოდ დამაგდეს, საკუთარის ოფლით და სისხლით მოპოვებული ლუკმა გამომგლიჯეს პირიდან, არ შემიძლია ჩემთვის, თავისუფლად დავეცე მუხლებზე და ცრემლებით ვილოცო,—მე ვიტანჯები, მაგრამ მე ვიცი საზღვარი ჩემის ტანჯვისა. ხოლო როდესაც მემუქრებიან კიდევ სხვა რასმე, მე არ ვიცი, რა იქნება ეს „სხვა“, სად არის მისი დასაწყისი და დასასრული და ამის ფიქრებს რომ გამოუდგე, ჭკუიდან შევიშლები წინდაწინვე!

ამიტომ ნუ ვიფიქრებთ მოსალოდნელ უბედურებაზე! დღეს თუ ჩვენი მდგომარეობა სატირალია, ნუ ვიფიქრებთ, რომ ხვალაც სატირალი იქნება, ან კიდევ უარესი. დღეს თუ უსამართლობა გვჩაგრავს, ნუ ვიფიქრებთ, რომ ხვალაც დავიჩაგრებით. დღეს თუ სამშობლო ენაზე ლაპარაკი დანაშაულობაა, თავს ნუ შევიწუხებთ იმის ფიქრით, რომ ხვალაც დანაშაულობა იქნება. თუ დღეს უფლება არა გვაქვს, ნუ ვიფიქრებთ, რომ ხვალაც არ გვექნება! თუ ჩვენი ინტელიგენცია დღეს მკვდარია, ნუ ვიფიქრებთ, რომ შემდეგაც ასეთი იქნება. ნუ გავიმწარებთ სიცოცხლეს იმის მოლოდინით, რომ ქართული თეატრი მომავალშიაც ისეთ უნუგეშო მდგომარეობაში იქნება, როგორც დღეს, რომ ქართული პრესსა მომავალშიაც ვერ ილაპარაკებს სიმართლეს, რომ მომავალშიაც ისე იქნება, რომ ათი იმუშავებს და მწარე ოფლს დაღვრის იმიტომ, რომ ერთმა ლხინში გაატაროს თავის სიცოცხლე! ნუ ვიფიქრებთ, რომ ისევ გაუწმენდელი დარჩება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა და დღევანდელის სახით გადავა ახალს შენობაში, რომ ისევ ლაჩრები და ფარისევლები იქნებიან ჩვენებური მამულიშვილები, რომ ქურდობას და სიყალბეს არ დასტოვებენ ჩვენებური საზოგადო მოღვაწეები! ნუ ვიფიქრებთ, რომ ვიქნებით ისევ მუნჯები, სულით მონები, ყოვლის მთმენები, ვით ჯორ ცხენები, რომ ვიქნებით მომავალშიაც ისეთივე მტერი ყოველგვარის უფლებისა, როგორიცა ვართ დღეს!..

ნუ ვიფიქრებთ მოსალოდნელ უბედურებაზე, ვიფიქროთ მხოლოდ მოსალოდნელ ბედნიერებასა და სიკეთეზე!...

* *

ამ მოლოდინში კი ცოტა რამ მოვილაპარაკოთ ჩვენებურ პატარა ამბებზე. ერთი უმთავრესი ჩვენი ნაკლულევანება, ნიშანი ჩვენის უკულტურობისა ის არის, რომ სრულებით არ ვაფასებთ უფლებას. არას ვიტყვი აქ იმის შესახებ, რომ სხვები, გარეშენი გვართმევენ უფლებას. უფრო სამწუხარო ის არის, რომ ჩვენ თვითონ ჩვენს ურთიერთობაში მზადა ვართ, უარვყოთ, ფეხით გავთელოთ სხვისი კანონიერი უფლება; ისე ვართ აღზრდილნი, ისე ვართ შეჩვეულნი უუფლებობას, რომ სრულიად არაფრად გვიღირს ვისიმე უფლების დაჩაგვრა, თავი მოგვწონს კიდეც თუ ხელი შევახეთ ვისიმე სამართლიანს უფლებას.

ჩვენი ცხოვრება სავსეა ასეთის მაგალითებით.

ძველი ამბავია ახალგაზრდა მოსამსახურე გოგოების მდგომარეობა ქალაქებში განსაკუთრებით მალე ირყვნებიან ისინი ისეთ ქალაქებში, რომლებიც ახლად ითვისებენ „კულტურას“. გურია დღეს მრავალს პატარა და ახალგაზრდა ქალს გზავნის ბათუმისკენ. გულიდან იგლეჯენ თავიანთ შვილებს ღარიბი და მშიერი მშობლები. გაჭირდა სოფლად ცხოვრება და ყველა ქალაქისკენ მიეშურება. ქალაქში ჰპოებენ ლუკმას, მაგრამ იქვე ირყვნება და სამუდამოდ იღუპება ბევრი მათგანი. უზომო შრომას ეწევიან მოსამსახურე ქალები, ფეხმიშველნი ასრულებენ ბატონების ბრძანებას. მაგრამ ბატონები ხშირად არ კმაყოფილდებიან მარტო მათის შრომით, და თუ ძალადობით, თუ სხვა-და-სხვა ხერხით ხელში იგდებენ მათ სხეულსაც, ჰრყვნიან მათ, უმზადებენ ავადმყოფობით და ყოველნაირის გაჭირვებით სავსე ცხოვრებას. სამწუხაროდ ასეთ ბატონების დიდი უმრავლესობა განათლებული პირებია, რომელთაც ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნიათ სხვისი გარყვნა და დაცემა. ჩვენი განათლებული საზოგადოება არც კი გაჰკიცხავს თავის წევრს ასეთის საქციელისთვის! ან კი გასაკვირველია: იქ, სადაც არაფრად ფასობს ადამიანის სული, რა ეღირება ადამიანის სხეული!..

გარე-კახეთიდან გვწერენ: ვერ იქნა და ბოლო ვერ მოეღო ჩვენებურ მამასახლისთა ყოვა-ქმევას. ჩაიგდებენ ხელში ისედაც დაბეჩავებულს გლეხებს და როგორც სურთ, ისე ათამაშებენ. თუ რომ რაიმე გადასახადი რჩება ვისმეზე და ვინმე რაიმე საქმისთვის მივა, ერთი საშად თუ არ გადაახდევინეს, დაუბეჟავი მაინც არ უშვეთ. ამ დღეებში პასპორტისათვის მივიდა სა[illegible] მამასახლისთან გლეხი გ. მ—შვილი და ცხვირ-პირ დამტვრეული კი გამოისტუმრეს. მამასახლისს ეცოტავა თურმე მ—შვილის მიერ მიცემული ფული და უბრძანა თავის მოჯამაგირე ბიჭებს, წაართვით, რაც აბადიათ. ბიჭებიც მისცვივდნენ საწყალს გლეხს და კინაღამ ცემით მოჰკლეს და ერთი პასპორტი 50-60 მანეთი დაუსვეს...

* *

მოისურვებს წესდების შევსებას ან შეცვლას, მოხსენება ამის შესახებ უნდა წარუდგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს; მეორე მუხლის ძალით, გუბერნატორის გარდა, რომელსაც შეუძლიან გააუქმოს საზოგადოება, (თუ მიმართულება სავნოდ სცნო), თუ კავკასიის მთავარ-მართებელმა რაიმე მიზეზისა გამო მოისურვა საზოგადოების დაკეტა, მოხსენება ამის შესახებ უნდა წარედგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. საზოგადოების დამაარსების ინიციატორთ ეხლა უნდა [illegible] პროექტი და თუ თანახმანი იქნებიან ცვლილებისა, სამინისტრო დაამტკიცებს წესდებას.

◆ ამას წინად გორის მაზრის სოფ. მახლობისისა, ჯავისა, ბუზალისა, ხვეცისა და გუბათის მცხოვრებლებმა სათანადო მთავრობის წინაშე **აღსძრეს შუამდგომლობა** და ითხოვეს, ნება მისცემოდათ საქციზო გადასახადების გაულებლად ოჯახში სახმარებლად არაყი გამოეხადათ. ამ შუამდგომლობისა გამო მთავარ-მართებლის კანცელარიამ მოსთხოვა გუბერნატორს, შეატყობინოს, რა აზრისაა ამ შუამდგომლობის შესახებ საქციზო გადასახადების სამმართველო.

◆ ბევრის დავი-დარაბის შემდეგ **მეტივეებმა მოიპოვეს უფლება** ვერის ხიდის ზემოდ, ქალაქის სასარგებლოდ ფულის გაუღებლად, ტივების დაყენებისა და ვაჭრობისა. მაგრამ მეტივეებს ეხლა სხვა შემაწუხებელნი აღმოუჩნდნენ. ეს ვაჟბატონები ტივებს თოკებს უჭრიან და უშვებენ წყალში. წყალწაღებულ ტივის ხეებს სადმე ქვემოდ იჭერენ და შემდეგ პატრონს ხშირად თითო დაჭერილ ხეში 10 მანეთიდან 15 მან. ახდევინებენ. მეტივეებმა სხვა რომ ვეღარა გააწყეს-რა, გამოიღეს ფული და ორი კაცი დარაჯებად დაიქირავეს. ამ დარაჯებს ეხლა-ხან დაუჭერიათ ვიღაც ავეტიქა ქიშმიშიანცი, რომელიც თოკებს აჭრიდა ტივებს. ქიშმიშიანცი 1 ნაწილის ბოქაულს წარუდგინეს.

◆ ქართლ-კახეთის **სამრევლო სკოლების საოლქო საბჭომ** დაადგინა უკანასკნელ სხდომაზე, მომავალ სამოსწავლო წლიდან არავითარი ცვლილება არ შეიტანოს ამ სკოლების როგორც რუსულ, ისე ქართულ ენების სწავლის პროგრამებში.

◆ ამ ბოლო დროს ტფილისის მაზრის სოფლებს: **საგარეჯოს, ნორიოს,** მარტყოფს, ხაშმს, გიორგი წმინდას, მანავს და პატარძეულს სასკოლო გადასახადისა დაედოთ 2500 მან. სახალხო სკოლების ინსპექტორმა სთხოვა გუბერნატორს, განკარგულება მოახდინოს, რომ ეს ფული მოიკრიბოს ხსენებულ სოფლებში.

◆ 15 აგვისტოს საპედაგოგო მუზეუმის სადგომში ტფილისს დაიწყება **კურსები ბუნების ისტორიისა და გეოგრაფიისა** სამინისტროს ორ-კლასიან სკოლების მასწავლებელთათვის. კურსების ხელმძღვანელად იქნება საოსტატო ინსტიტუტის მასწავლებელი ვერხოვი.

◆ **საერთაშორისო რკინის გზის** მატარებელთა მიმოსვლის საქმეების კონფერენციამ ფრანკფურტში დაადგინა, გაიყიდოს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურებზე ევროპის უმთავრეს ქალაქებში პირდა-პირ წასასვლელი ბილეთები.

◆ რადგან ამ ბოლო დროს **საკლავი საქონელი გაიაფდა,** ნიხრის გამწესებელმა კომისიამ დაადგინა ნიხრს დაუკლოს: 1 ხარისხის ხორცი იქნება—10 კაპ., მე-2 ხარისხისა—9 და მე-3 ხარისხისა—6 კაპ., ცხვრის ხორცი—12 კაპ., ნაცვლად 11 კაპ.

◆ ხვალ, 12 აგვისტოსთვის, დანიშნულია სხდომა ტფილისის ქალაქის **სასანიტარო კომისიისა.**

◆ როგორც გავიგეთ, განზრახულია გორის მაზრის **სოფელ ტირძნისის ორ კლასიანი სამრევლო სკოლა** სხვაგან გადაიტანონ.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, რომელსაც ტფილისში **სამეურნეო იარაღის საწყობი** აქვს, ჰფიქრობს კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილებში გახსნას ამ საწყობის განყოფილებანი.

◆ თელავის წიგნთ-საცავის გამგეობის წევრნი ქ-ნი ზარაფიშვილი და ლ. მარქაროვი გვთხოვენ დავბეჭდოთ: „გულითადეს მადლობას ვუცხადებთ ყველა იმათ, რომელთაც დახმარება გაგვიწიეს თელავის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ 24 ივლისს გამართულ სეირნობის დროს, სახელდობრ: მომღერალ ქალ-ვაჟთა გუნდს, დირიჟორს ამ გუნდისას ნ. სულხანიშვილს, ბაზრისთვის ნივთების შემომწირველთ და შემოწირულების შემკრეფთ: მღვდელს მ. აღ. ზირახოვს ს. ურიათუბანში ფულის შეკრეფისთვის; ბ-ნთ ბერეჟიანს, ბააკაშვილს და სუკახოვს—შემოწირულებისთვის; სოლ. გოშაძეს, მაქრო ბრაგვაძეს, თნ. ჩიკაძეს—ფანჩატურების გაკეთება-მორთვა-მოწყობისთვის და სხვებს, ვინც ხელი შეგვიწყეს სეირნობის უკეთ მოწყობაში. განსაკუთრებით მადლობას ვწირავთ ნინო ნუბართოვისას თავის ეზოს უსასყიდლოდ დათმობისთვის, სადაც გაიმართა სეირნობა; კნ. ბარბარე ვაჩნაძისას, როგორც საღამოს დიასახლისს, და განმეორებით მაქრო ბრაგვაძეს, რომელმაც იკისრა აგრეთვე ბუფეტის გამგეობაც. სეირნობიდან შემოვიდა მთლად 454 მან. 12 კ., ხარჯი იყო 224 მან. 77 კ., დარჩა 229 მან. 35 კ., რომელიც შეტანილია უკვე შემნახველ კასაში; იქვე შეტანილია ის ფული, რომელიც შემოვიდა შარშან გამართულ სეირნობიდან“.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ ორის კვირით სამსახურისაგან განთავისუფლა გამგეობის წევრი თავ. ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, რომლის ნაცვლად გამგეობის მე-2 განყოფილების მართვა ჩაებარა გამგეობის წევრს ტ. ა. ენფიანჯიანცს.

◆ ტფილისის საბჭოს ხმოსანმა სულხანიშვილმა გუშინ აცნობა წერილობით ქალაქის გამგეობას, რომ ბელგიის უსახელო საზოგადოებამ მიანგრ-მოანგრია ქალაქის ქუჩები დიანდაგის გაკეთების დროს, ქუჩები გაუსუფთავებელი და მიწა გაუტანელი დასტოვა, რითაც ძალიან უჭირებს საქმეს ქალაქის მეეტლეებსა და მედროგეებსაო. ხმოსანი თხოულობს, გამგეობამ განკარგულება მოახდინოს, რომ საზოგადოებამ გასწმინდოს და შეასწოროს ქუჩები.

◆ 9 აგვისტოს, ღამე, ალექსანდრეს ბაღში, პატარა ეკკლესიის გვერდით საეკკლესიო სანთლის დუქნიდან ქურდებმა ფული მოიპარეს. საღამოს 7 საათზე დუქნის გამგე წასულა აბანოში და როცა $8^1/_2$ საათზე დაბრუნებულა, დაუნახავს ქურდები. ამათ გაეტეხათ დუქნის ფანჯრის დარაბა, ერთი შესულა დუქანში და რამდენიმე გარედ დამდგარა. დუქნის გამგეს უტაცნია ხელი დუქანში მყოფ ქურდისათვის, იმ დროს, როცა იგი გამოდიოდა, წაუქცევია და დაუწყია ყვირილი. ქურდს, რომელიც გორის მაზრის მცხოვრები, გვარად თოროზოვი, აღმოჩნდა, წამოშველებიან ამხანაგნი და დაუწყიათ ცემა დუქნის გამგისათვის. ბოლოს ყვირილზე პოლიციელნი მისულან და შეუპყრიათ თოროზოვი. სხვები გაქცეულან. შეკრებილი ხალხი ისე გაბრაზებულა, რომ პოლიციელს ძლივს გამოუცლია ხალხის ხელიდან ქურდი. როგორც აღმოჩნდა, ქურდებს 70 მან. წაუღიათ.

◆ ჩვენ გვატყობინებენ შემდეგ დაწვრილებით ამბავს ნაძალადევში ყალბ ფულის მოჭრის შესახებ: „მეშვიდე უბნის ბოქაულისათვის უცნობებია ერთ აგენტს, რომ ტფილისის მოქალაქე, ნაძალადევში მცხოვრები, ალექსანდრე (იგივე სანდრო) აბულიანცი ყალბ ფულს სჭრის და ასაღებსო. ბოქაულმა, უბნის ზედამხედველის შიპილლოს თანადასწრებით მიანდო მეეზოვე აკოფოვს წასულიყო აბულიანცთან, ვითომცდა დალალად და შეესყიდნა იმისგან ფული. ამ საქმისთვის მეეზოვეს 50 მანეთი მიეცა. აბულიანცმა მიიღო ეს ფული და კვიტანცია მისცა მეეზოვეს ფულის მიღებაში და დაჰპირდა 240 მანეთის ღირებულ ყალბ ფულის (ხუთ-ხუთ მანეთიანებით) გადაცემას. დანიშნულ ვადაზე აბულიანცმა გადასცა მეეზოვეს ეს ფული. რადგან ბოქაულს სურდა საქმე დაწვრილებით გაეგო, ან სხვა ვინ ურევია ამ საქმეში, დაიბარა აგენტი აგაზერ არგუნიანცი, მისცა 25 მანეთი და ყალბ ფულის შესასყიდად გაგზავნა იმავე აბულიანცთან. არგუნიანცმა შეასრულა ბოქაულის დავალება და გადასცა ბოქაულს, რომ ფულის მოჭრა იმისავე სახლში მოხდება 1, 2 და 3 ივლისსაო. 2 ივლისს, შუაღამის $12^1/_2$ საათზე, ბოქაული გამომძიებელთან ერთად დაეცა აბულიანცის სადგომს, სადაც ნახეს საჭრელი მაშინა ხუთ-ხუთ მანეთიანისა და ის უბის წიგნი, საიდანაც ერთი ფურცელი მეეზოვეს მისცა, როგორც ბარათი ფულის მიღებისა. აბულიანცი, როგორც ვიცით, უკვე სამართლის ხელშია გადაცემული.

◆ ყვირილა. 9 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, რკინის გზის მე-121 ვერსზე, კეტებით შეიარაღებული ექვსი ბოროტ-გამზრახველი დაეცა შორაპნის მაზრის სოფელ ვაჩევის მცხოვრებს ტარიელ ცერცვაძეს, რომელსაც წაართვეს 61 მანეთი და 700 მან. ვექსილები და თავში დასჭრეს კეტით.

◆ ტფილისის გუბერნატორის დადგენილების ძალით სანიტარულ წესების დარღვევისათვის დაჯარიმებულ იქმნენ 10 მანეთით შემდეგი სახლის პატრონნი; მე-9 უბანში: ვასილ ეგიაზაროვი, ელისაბედ სულხანოვი, ალექსანდრე გალეგოვი, გეურქ ვარნაზოვი, იაკობ ტერ-გრიგორიანცი, ალექსანდრე პარვაროვი, იბრაგიმ თაღიევი, ადოლფ მაკაროვიჩი, იაკობ გურგენოვი, ელისაბედ სლივიცკისა, რიხარდ დიტრიხი და თიმოთი ხარიტონოვი; მე-7 უბანში: სიმონ და ლუკერია კრივენცოვები, მიხეილ ივანოვი, არტემ პოღოსოვი, არტემ და ბაგრატ დონიევები, ნიკოლოზ ფარსადანოვი, ნიკიფორე მარტაშვილი, ესტატე ჰანტურიძე, გერასიმე მაწავროვი, პეტრე თელია, პროსკოვია პოლიანსკაია, სტეპან ფელკინი, დავით მელიქ-ავაქოვი და ელბერია ულბერი; მე-6 უბანში: სოფიო ბეგიშვილი და სოფიო თარხანოვისა.

რუსეთის ქრონიკა

◆ მინისტრთა კომიტეტმა განიხილა კანონი ებრაელების უფლებათა შესახებ და დაადგინა გააუქმოს 1882 წ. დროებითი წესის პირველი პუნქტი და ნება მისცეს ებრაელ ხელოსანთა, 1 გილდის ვაჭრებს და უმაღლესს სასწავლებლებში კურს-დამთავრებულთ იცხოვრონ სოფლებსა და დაბებში.

◆ გაზ. „ზაბაიკალიე“ იუწყება, რომ ქ. ნიკოლსკ-უსსურისკში (ციმბირი) სულ აღარ იშოვება საყიდლად შაქარი, ნავთი და საზოგადოდ თითქმის სრულიად გაუქმებულია ვაჭრობა.

◆ „ნოვ. ვრ.“-ს სიტყვით, ტვერის გუბერნატორმა, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულების თანახმად, ცირკულიარით მიჰმართა გუბერნიის ყველა სამაზრო ერობათა გამგეობებს იმის შესახებ, რომ ამ უკანასკნელთ უფლება არა აქვთ გუბერნატორისაგან ნება-დაურთველად მოლაპარაკება იქონიონ სხვა გუბერნიების ერობებთან საზოგადო სახელმწიფო ხასიათის საკითხთა შესახებ. გუბერნიის ერობამ განასაჩივრა მინისტრის განკარგულება სენატში, რომელმაც უყურადღებოდ დასტოვა ერობის საჩივარი.

◆ პეტერბურგიდან გაიგზავნა რამდენიმე ექიმი კავკასიასა და სპარსეთში ხოლერის წინააღმდეგ ზომების მისაღებად და საბრძოლველად.

◆ ვილნოდან სწერენ გაზ. „ნოვოსტ“-ის, რომ ამ ბოლო დროს მომხდარ გამოკვლევით ბევრი ებრაელი გადასახლებულა რუსეთიდან საზღვარ-გარედ სამხედრო ბეგრის ასაცილებლად.

◆ გზათა სამინისტროს გადაუწყვეტია შემოიღოს ახალი წესი, რომლითაც რკინის გზის სადგურებზე ნაცნობ-ნათესავების გასაცილებლად მოსულთ, რომელნიც სადგურის წინ ბაქანზე გასვლას მოისურვებენ, გადასახადი დაედებათ. რადგან ამ ზომის შემოღება გამოიწვევს სადგურებში ხალხის ვიწროობას, გადაწყვეტილია გააფართოვონ რუსეთის უმთავრეს სადგურების ზალები და უკანა პლატფორმები, რაიცა 1 მილიონ მანეთ ხარჯს მოითხოვს.

წერილები

ახალ-სენაკი. 7 აგვისტოს, საღამოს 10 საათზე, ცეცხლი გაუჩნდა აქ აწ უკვე გარდაცვლილის თავ. ფ. მხეიძის ქვის შენობებს. დაიწვა 6 დუქანი და ერთი სახლი. ამის გვერდით ხაზინა იყო, რომელიც ძლივს-ძლიობით გადაარჩინეს გადაბუგვას. საუბედუროდ, ცეცხლის საქრობ მანქანის შეძენას აქ არა ეშველა-რა. ცეცხლის გაჩენა აქ ძალიან ხშირია და ნუ თუ ჩვენი დაბა ამას ვერ შეიძლებს მაშინ, როდესაც მარულასა და სხვა ამ გვარ გასართობებისათვის ას და ორას მანეთის ხარჯვა არ ეზარებათ? სასურველია, ჩვენმა დაბის მამებმა ამის შესახებ ცოტა იზრუნონ, თორემ კიდევ მოსალოდნელია ამ გვარი შემთხვევები. 7 ამ თვეს მოსკოვიდან მშვიდობით დაბრუნდა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა ექსკურსია.

ტ. კალანდარიშვილი

ს. ვიჭია (სამეგრელო). გვახსოვს ბედნიერი დრო, როდესაც ჩვენში ისეთი კარგი მოსავალი იყო, რომ რაც უნდა ღარიბი ოჯახი ყოფილიყო, წლის თავზე შვიდი-რვა თუმნისას მაინც გაჰყიდდა სიმინდსა და ღვინოს. მას აქეთ დიდმა ხანმა განვლო და ჩვენც სულ სხვა ჟამი დაგვიდგა. მართალია, მას აქეთ სოფელს ბევრი კარგი მოემატა, მაგრამ მოსავალმა კი

მაგრამ ამ მხრივ ყველაზე უფრო საინტერესოა ს—ის ფოსტის უფროსის ბ. ს—ის საქციელი, რომელსაც იმგვარივე წარმოდგენა ჰქონია ადამიანის ღირსებასა და უფლებაზე, როგორც აფრიკელ ჰოტენტოტს.

ასეთს ამბავს მოგვითხრობს ერთი ჩემი ნაცნობი ამ თანამედროვე გმირის შესახებ 15 ივლისს ს—ის ფოსტაში მოვიდა წერილი ჩემს სახელზე. წერილი ადრესის თანახმად უნდა გადაეცათ ადგილობრივ სასწავლებლის უფროსისათვის, ხოლო ეს უკანასკნელი მე გადმომცემდა. 15 ივლისს მისული წერილი მე 16-ს მაინც უნდა მიმეღო, მაგრამ ნამდვილად 18-ს გადმომცა წერილი მასწავლებლის მოსამსახურემ. რადგან წერილების დაგვიანება ს—ის ფოსტის მხრივ ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, მე წაველი ფოსტაში პასუხის მოსათხოვად უფროსისაგან.—გთხოვთ გამაგებინოთ, რა მიზეზით დაიგვიანა ჩემმა წერილმა, მივმართე ბ. ს—ეს: წარმოიდგინეთ, ასეთი შემთხვევა პირველი არაა...

ჯერ არ დამემთავრებინა სიტყვის თქმა, რომ ადგილზე წამოხტა ფოსტის უფროსი, სახეზე ალეწვება მეტყობოდა, თვალები უელავდნენ.—ჩვენ მოვალე არა ვართ, წერილი გიგზავნოთ, ჰყვიროდა რუსულად ბ. უფროსი: თქვენ განჯაში ხართ მასწავლებლად, წერილს კი აქაურის მასწავლებლის სახელი აწერია...—კი, მაგრამ თქვენ რას დაეძებთ, მე სადა ვარ მასწავლებლად. თქვენ გადაეცით წერილი ადრესის თანახმად და შემდეგ რა თქვენი საქმეა, აგიხსენი მე.—სრულიადაც არა! შენ აქ საქმე არა გაქვს („თქვენ“-იდან „შენ“-ზე გადმოვიდა ბ. ს—ე). მე კარგად ვიცი, ვინცა ბრძანდები შენ, შენთან ლაპარაკიც-კი საშიშია...

—კაცო, რა მოგივიდა? შევეკითხე გაკვირვებით.

—რა მომსვლია? რა მომსვლია და вы здѣсь демократовъ защищаете... не смѣйте здѣсь... Здѣсь офиціальное мѣсто...—მაშ თქვენ ჩემის პიროვნების წინააღმდეგი ხართ და იმიტომ მიგვიანებთ წერილებს? ვკითხე.

ბ. ფოსტის უფროსი მახეში გაება. არ იცოდა, რა ექნა, ან რა ეთქვა. ბოლოს როგორც იქნა გონს მოვიდა.—არა... მე იმას ვამბობდი, რომ... რომ მასწავლებლის მოსამსახურეს არ მიაქვს თქვენი წერილი, იცრუა ხელად ს—ემ. მე მაშინვე გარედ გამოვედი და მოვუყვანე ის მოსამსახურე, რომელმაც უცებ ჩააწუმა და ცივი წყალი გადაასხა გაცხარებულს მოხელეს.—მაკი როგორ გეკადრება, ბატონო! როდის იყო, რომ უარი ვსთქვი წერილის წაღებაზე? პირ-იქით, მე ყოველთვის გეკითხები, არის ამის წერილი, თუ არა მეთქი...

ბ. ს—ეს სხვა გზა არა ჰქონდა, რომ განსაცდელისაგან გამოსულიყო და ისევ ბევრის ოფლის წურის შემდეგ იძულებული შეიქნა, „უკაცრავად“, ეთქვა.

ამით გათავდა პირველი მოქმედება ამ დრამატიულის პიესისა, რომელიც ერთის მხრით თუ კომიკურია, სასაცილოა, მეორეს მხრით მეტად ტრაგიკულია, სატირალია.

პირველს მოქმედებას (რომელსაც ეწოდება „ფოსტის უფროსის დამარცხება“) მალე მოჰყვა მეორე მოქმედება („პატარა კაცის შურისძიება“). 5 ივლისს, განაგრძობს ჩემი ნაცნობი: თხოვნა გავგზავნე მოსკოვის ერთს უმაღლესს სასწავლებელში. პასუხს გულის ფანცქალით მოველოდი. გზავნიდი ფოსტაში საგანგებოდ კაცს, დავდიოდი მეც, მაგრამ პასუხი არ იყო და არა. ვიცადე 26 ივლისამდე, 26-ს კი გავგზავნე დეპეშა და გადავიხადე დეპეშის პასუხის ფასიც. ახლა დეპეშის პასუხს დავუწყე ლოდინი. მეორე დღეს მივედი ფოსტაში და ბ. ს—ემ გადმომცა თხოვნის წერილობითი პასუხი და თან მეფისტოფელის ღიმილით გადმომხედა. თურმე ეს წერილი 21 ივლისს მოვიდა ს—ის ფოსტაში, ხოლო მთელი ექვსი დღის განმავლობაში ბ. ს—ეს ხელში ეჭირა იგი და არ მაძლევდა, რომ ამით თავისებური შური ეძია და სამაგიერო გადაეხადა ჩემთვის. შემდეგ კიდეც ტრაბახობდა: „რა მოიგო იმ ემაწვილმა? გამდანძლა? მერე?.. ექვსი დღე ვაცდევინე, ორი მანეთი დეპეშაზე დავახარჯვინე და სხვას კიდევ მოელოდესო“!..

მე ხმა არ გამიცია ბ. ს—ისთვის...

თავის წერილის ბოლოში ასეთნაირად მათრთხილებს ჩემი ნაცნობი: „გულახდილად გეტყვი, რომ მხდალი კაცი არა ვარ, მაგრამ ბ. ს—ის კი შემეშინდა. გეშინოდეს შენც, ეშინოდეს ყველას: ბ. ს—ე უძლეველია“!

ტრაგიკული მხარეც ეს არის მთელი ამ ისტორიისა, რომ ს—თანა კაცები ბატონობენ ჩვენს ცხოვრებაში, და მაგგვარი ადამიანები იბატონებენ და უძლეველნიც იქნებიან, ვიდრე არსებობს დღევანდელი უუფლებობის საზოგადო პირობები, რომელთაც წარმოშობს ბ. ს—ე!

* *

დღევანდელის ფელეტონის ეპილოგად მოვაგონებ მკითხველებს ერთს საქმეს, რომელიც ამას წინად გაარჩია ტფილისის სასამართლომ: 1902 წ. 2 თებერვალს დილა ადრე ნ. დვალის დუქანში შესულან პოლიციელები ნიკიტინი და დიმიტრენკო და 4 ჩაფი არაყი გადაუკრავთ. დიმიტრენკოს 10 კ. გადაუხდია, ნიკიტინს კი არაფერი არ მიუცია მედუქნისათვის. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ შემოსულა დიმიტრენკო და 4 ჩაფი არაყი დაულევია, მაგრამ ფული არ გადაუხდია. როდესაც მედუქნეს ფული მოუთხოვია, დიმიტრენკოს ცემა დაუწყია მედუქნისათვის. მას მერე ნიკიტინიც მოხმარებია და დიდი ჩხუბი ატეხილა მათსა და მედუქნეს შორის...

პოლიციელებმა უჩივლეს დვალს: სამსახურის ასრულების დროს წინააღმდეგობა გაგვიწიაო. საქმე გაარჩია 26 ივლისს და ოლქის სასამართლომ... გაამართლა დვალი.

დიდი წყალობაა!

სიტყვა

სულ იკლო და იკლო. ღვინის გემო ხომ დიდი ხანია დაგვავიწყდა; ამას არც ჩვენ ვჩივით, მაგრამ უბედურება ისაა, რომ სიმინდმაც, ერთად-ერთმა ჩვენმა სარჩომ, გვიღალატა და ცოტა ხანში სრულიად მოგვესპობა. შარშან ისეთი ცუდი მოსავალი იყო, რომ ბევრი იანვრიდან ყიდულობს სიმინდს. სიმინდის ფასი კი ეხლა ძალზე დიდია აქეთ. ჯერ-ჯერობით მანეთად ვყიდულობთ და მალე ექვსი აბაზიც უნდა ვაძლიოთ ფუთში. სამოცი წლის მოხუცებსაც კი არ ახსოვთ, რომ სხვა დროს ასეთი გაჭირვებული წელიწადი ყოფილიყოს. ბევრია ისეთი ოჯახი, სადაც არც ფული აქვთ, არც სიმინდი და არც ლობიო. ასე წარმოიდგინეთ, ზოგნი ხილითაც იკვებებიან. თუ იშოვა ვინმემ რის ვაი-ვაგლახით ფული და სიმინდი იყიდა, ნახევარზედ მეტი უსათუოდ დამპალი გამოდგება. სადაც გაიხედავ, ყველგან შიმშილი, ყველგან სიდატაკეა. რაც დავთესეთ, ნახევარი არ ამოსულა და ამოსულიც ხანგრძლივმა წვიმებმა მიწასთან გაასწორა. შარშანდელი სიმინდი იანვრამდის არ მიგვყოლია და წრევანდელი მგონი დეკემბრამდინაც არ გვეყოს. 1892 წელს სენაკის მაზრის უფროსმა გამოუცხადა სოფელს: „თუ თვითეული კომლი წლიურად ორ-ორ აბაზს შემოიტანს, ათი წლის შემდეგ ორი ათასამდე ფული შედგება სარგებლიანად და გაჭირვების დროს თქვენვე მოგეხმარებათო". ჩვენ უარი არ გვითქვამს და 1902 წლამდე კიდევაც ვიხდიდით ორ-ორ აბაზს. ეს ფული ტფილისის სახაზინო ბანკში ეხლაც ინახება. დღევანდელზე მეტი გაჭირვება იქნება და ჩვენც გადავწყვიტეთ, ვითხოვოთ მოგვცენ სესხად ხსენებული ფული უსარგებლოდ, ან იმავე ფულით საწყობები გაგვიღონ და პური იქნება თუ სიმინდი, დაკლებულის ფასებით მოგვყიდონ.

გიზო

—

აფხაზეთი. ჩვენსკენაც გაიღვიძა ხალხმა და საზოგადო მოძრაობა-ფერხულში ჩაება. მიჰხვდა, რომ თუ არ უნდა ალიგავოს პირისაგან ქვეყანისა, უნდა ძველებური ცხოვრება უკუ-აგდოს და ახალს მოჰკიდოს ხელი. მოგეხსენებათ, აფხაზს დღემდის ვაჭრობა, აღებ-მიცემობა სამარცხვინო საქმედ მიაჩნდა; სანთლითაც რომ გეძებნათ, ვაჭარს აფხაზს ვერ იპოვნიდით. დღეს-კი აფხაზებმა ასეთი შეხედულება ცოტაც არის შეიცვალეს: აქა-იქ მედუქნეობა იწყეს; შვილებს ვაჭრებს აბარებენ ვაჭრობის შესასწავლად. ასე გასინჯეთ, აქაურ ბრწყანვალე წოდებაშიაც-კი გამოერივნენ ზოგიერთები, ვაჭრობის მიმდევარნი. როგორც საზოგადოდ ყველგან, აფხაზეთშიაც ხალხის ყურადღება ამ ბოლოს დროს ომმა მიიპყრო. სახლში, კარში, ეწვევი ვისმე თუ გეწვევა, ჩვეულებრივ ჩვენებურ მოკითხვის მაგიერ, პირველი ადგილი დღეს ომზე კითხვებს უჭირავს. „აბა გვიამბე ამ ბოლო დროს, რა ჰხდება ომშიო, საქმე როგორ მიდისო", გეკითხებიან ყოველის მხრიდან და რომ უამბობ, ან გაზეთს უკითხავ, მთლად სმენად იქცევიან და თანაც ხან იღიმებიან, ხან შუბლი ეღრუბლებათ. აქა-იქ სოფლებში გაზეთსაც იწერენ. სამაგიეროდ, არა კითხულობენ გაზეთებს არც მღვდლები და არც მასწავლებელნი. სამურზაყანო-აფხაზეთში სულ უკანასკნელი 85-90 მღვდელია და, თუ მეტი არა, ამდენივე მასწავლებელი იქმნება და, წარმოიდგინეთ, ამათში ხუთიც-კი არ გამოერევა, ვისაც გაზეთი ჰქონდეს გამოწერილი. ეს ათიოდე წელიწადია, რაც გუდაუთში სამკითხველო არსებობს. მისი დამაარსებელი გოგიტიძეა, რომლის აქედან წასვლის შემდეგ უახლობელესი მზრუნველობა იკისრა ნ. ჯანაშიამ. ამ ორი პირის მეცადინეობით და წყალობით სამკითხველო სასურველ მდგომარეობაში იყო. მოდიოდა თითქმის ყველა ადგილობრივი ქართულ-რუსული ჟურნალ-გაზეთი და სატახტო ქალაქების ზოგიერთი გამოცემაც. სამკითხველოსაც ბევრი მკითხველი ჰყავდა. მაგრამ სამსახურისა გამო აქედან გადავიდა ბ-ნი გოგიტიძე და რამდენიმე წლის შემდეგ ბ-ნი ჯანაშიაც და სამკითხველოსაც შავი დღე დაუდგა. ჯერ პირისუფლებმა გააძევეს იქიდან თითქმის ყველა ქართული ჟურნალ-გაზეთი და ბოლოს სრულიადაც მიკეტეს. სრული ორი წელიწადია, რაც სამკითხველოს კარები არ გაღებულა. თუ რამ გაზეთები მოდის სამკითხველოს სახელობაზე, სხვაგან სადმე უნდა მოიძებნოთ. როგორც მოგეხსენებათ, გამოცხადდა გუდაუთსა და ოჩემჩირეში სამოსახლო ადგილების შეძენის ნებართვა. მაგრამ ფასი და შეძენის პირობები-კი ისეთია, რომ ჩვენისთანა მომაკვდავნი ტყუილად პირს ნუ აიმჟავებენ. უხაროდეთ ისევ მდიდრებს. ოცდა-ცხრა ივლისს აქეთ მოჰხდა ერთი მკვლელობა: ორმა „სტრაჟნიკმა" მოჰკლა სოფ. მუგუძირხველი გლეხი.

აფხაზი

—

ხოტევი (რაჭა). ღმერთმა ყველა დაიფაროს ისეთ სანახავისაგან, როგორიც დღეს ჩვენში სიმინდია. ისე გაახმო გვალვამ სიმინდი, რომ იმისი გამობრუნება ალარაფერს არ შეუძლიან. ერთი თვე გადის, რაც ერთი ცვარი წვიმა არ გადმოვარდნილა ციდან. ისეც გაჭირვებულ გლეხებს უარესი გაჭირვება და შიმშილი მოელის. ეხლაც ასში ერთი არ მოიპოვება, რომ სიმინდი სასყიდელი არა ჰქონდეს და დღიურ ლუკმას არ დაეძებდეს. ამან გამოიწვია ბეღლებისა და წისქვილების ტეხა, ძარცვა-გლეჯა. დღემდი თუ იშვიათად გაიგონებდით ამისთანა ამბავს, დღეს თითქმის ყველგან შეხვდებით მომჩივანს: „ორი კვანჩხი სიმინდი მქონდა ნასყიდი და ისიც ვიღაცა ულმერთომ მომპარა ბეღლიდან ან წისქვილიდანო". ნამეტანი გაჭირვება უნდა იყოს, რომ რაჭველმა კაცმა ასეთი საქმე ჩაიდინოს.

ხოტეველი ქალი.

—

მურღული (ლივანა). მურღულში ინგლისელებმა სპილენძის მადნის მუშაობა დროებით შეაჩერეს და დიდძალი მუშა ხელი დაითხოვეს. მუშებში ნახევარზე მეტი, 1000 კაცამდე, ოსმალეთი ქვეშევრდომი— თათარი, ბერძენი, სომეხი, ლაზი და ქართველი მაჰმადიანიც იყო. არ იციან კარგად, საქმის განახლება და მუშაობის დაწყება როდის მოხერხდება, იმასკი ამბობენ, რომ საქმის წარმოება უფრო ფართოდ და კარგად უნდა დაიწყონ და მუშაობაც იმიტომ შეაჩერესო.

—

მაჭახლის პირი (აჭარა). ამ უკანასკნელ დროს ქართველ მაჰმადიანებმაც გაახილეს თვალები. ყველამ გაიგო ომის ამბები. ყველა გაფაციცებით ელის რამე ცნობების შეტყობას. სამწუხაროდ, აქეთ გაზეთები არავის მოსდის. მთელს აჭარაში ორი „ცნობის ფურცელი" მოდის და ერთიც „ივერია". „ცნობის ფურცლი"-ს ერთი ნომერი ქართველ მაჰმადიანს მოსდის და ერთიც ქრისტიან ქართველს. „ივერიაც" ქართველ მაჰმადიანს მოსდის ქედაში. ეს არის ერთად-ერთი სახსარი ბეჭდვითი სიტყვისა. რუსული გაზეთები ამათთვის უმნიშვნელოა, თუმცა ესენიც მოსდით აქა-იქ.

—

ლაშხეთი. ცუდის თვალით არ შეეხედებაო, რომ იტყვიან, სწორედ ლაშხეთზე ითქმის წელს, ისეთი კარგი მოსავალია. მაგრამ მრავალ წლების მოუსავლობით წელ-გაწყვეტილ სვანებს ესეც ვერ აღუდგენს დავალიანებულ ოჯახს. აქეთ საშინლად მძვინვარებს ქურდობა. პატრონი მხიარულად მიდის მთებში გასუქებულ ცხენისა ან ხარის ჩამოსაყვანად, მაგრამ ხშირად ასეთ პატრონს სახლისკენ ტირილით დაბრუნებულსა ვხედავთ: მასი საქონელი ღამის რაინდებს უკვე გაუსეირნებიათ ზოგი რაჭისკენ, ზოგი გადაღმა სვანეთისკენ და ზოგიც ოსეთისკენ. რომელიც ეღირსება თავის საქონლის ნახვას, იმასაც გასაჭირით უხდება სახლამდი მიღწევა. ლეჩხუმსა და სვანეთს შუა ორ-სამ ალაგას უხვდებიან ტყაჩოები და სხვა სვანები და გზაზე გავლის ქირას ახდევინებენ. თუ ფული ვერ იშოვა საქონლის პატრონმა, ხდიან ჩოხას, ყაბალახს და სხვას. ხშირად მუშტიკრივიც იმართება. სვანების უვიცობით ბევრნი სარგებლობენ და ატყავებენ ხალხს. აბა რა სათქმელია: „ჩემ ნაყმევთან ჩხუბი გიქნია და თუ მეც საუპატიო არ მომეცი, იცოდე ლეჩხუმს წასვლას აგიკვეთ, დაგიხვდები და უბედურ დღეს დაგაყენებო". ასეთი სვანი ყოველ დროს უნდა მოელოდეს მარილივით დანაყვას და ხანაც სიცოცხლის გამოსალმებას. ყველა ამაების გამო იძულებულია დააკმაყოფილოს როგორც თავისი მოპირდაპირე, ისე ის, ვისაც თავისს შეურაცხყოფად მიუღია სხვისი შეურაცხყოფა. სვანს სასამართლოს კარებისთვის (მეტ ნაწილად) ვერ მიუგნია. ზოგიერთს ერთი ახირებული მოქმედებაც დაუწყია: თუ გლეხისას ლამაზი ქალი მოეწონა (საზოგადოდ, სვანის ქალებში ხშირათ არიან ლამაზები), არც აცივებს, არც აცხელებს და მიუხტება სახლში. რა დიდი საქმეა გლეხის ქალისთვის სირცხვილი, ან რა საჭიროა ნამუსიო, ბრძანებენ ზოგიერთები.

უექიმობით აქაური ხალხი ისეა გაჭირვებული, რომ პეტრე იქნება, თუ პავლე, თუ კი დაიკვეხა, რომ „ექიმი ვარო", ავადმყოფნი ბუზივით ეტანებიან და რასაც ითხოვს, აძლევენ. ამიტომ არის, რომ აქ მობრძანებული ჯანაოზ-დალაქები ხალხს შეუბრალებლად ძარცვავენ. იშვიათად შეხვდებით ისეთ სვანს, რომელსაც შორეულ-აღმოსავლეთის ბრძოლის შესახებ არ ეკითხოს: „მაი, ამბავ ისმი რუსეთში აპონიი გვეშისა"-ო (რა ამბავი ისმის რუსეთის და იაპონიის საქმისაო). მუაზის სამკურნალო წყლებს ყოველ წლობით მრავალი ხალხი აწყდება. სამწუხაროდ, ბევრს მოლოდინი უმტყუნდება. ან-კი როგორ არ გაუმტყუნდება, როდესაც ამდენ მოსულ ხალხისთვის შვიდი თუ რვა თვალი სახლია მხოლოდ, ისიც ისეთი, რომლის კედლებში კურდღლები გაძვრებიან. ფანჯრებს ხომ ბინაძარა ღირსებია. კიდევ კარგი, ასეთ სახლს რომ შოულობდეს ყველა მოსული; ძნელი ის არის, რომ ხშირად წკნელით შეხლართული ფაცხებიც ენატრებათ. რკინის წყალი სამი ვერსით არის დაშორებული ბინაზე. გზები საძაგელია. ორი სამი საათი უნდა იცადოთ ვანის შოვნამდე, რადგან სულ ორი ვანაა, ერთი თბილისთვის და ერთი ცივისთვის. მკითხველს ამის შემდეგ აღარ გაუკვირდება, რომ მუაზის სტუმრები ხშირად ავადაც ხდებიან.

ლაჟანელი ბანოვანი

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 აგვისტო

სტამბოლი („კორ. ბიურ."). გაუქმდა სანიტარული ზომები ბათუმში საქონლის გაგზავნის შესახებ.

კოპენჰაგენი. პრინცი ქრისტიანე გაემგზავრა პეტერბურგს, რათა დაესწროს მემკვიდრე ცესარევიჩის მონათვლას.

ნიუ-იორკი. სენ-პოლსა და მინიეპოლისში გრიგალი ამოვარდა. დახოცილთა და დაჭრილთა რიცხვი მრავალია. ქონებრივი ზარალი 2 მილიონი დოლარისაა.

დონის-როსტოვი. მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების აღსანიშნავად მოქალაქეთა საზოგადოებამ დაადგინა აპატიოს ღარიბ მოქალაქეთ გადაუხდელი ფული 20 ათასი მან.

კურსკი. აქ მოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ზინოვიევი.

10 აგვისტო

პეტერბურგი. ბიულეტენი: „მისი უდიდებულესობა ხელმწიფე დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული თავს ძლიერ კარგად ჰგრძნობს, მშობიარობის შემდეგი პერიოდი წესიერად მიმდინარეობს, ძალ-ღონე ემატება და მალე წინანდელ ჯანზე დადგება. მისს უმაღლესობას მემკვიდრე ცესარევიჩს თვით ავგუსტოესი დედა აწოვებს. მაღალ-ახლად-დაბადებულის ჯანმრთელობა მეტად კარგადაა.

7 აგვისტოს დილის 11 საათზე უმაღლესის თანდასწრებით საფარჯიშოდ გამოიყვანეს შემდეგ სამხედრო სასწავლებელთა მოწაფეები: პავლოვსკის, პეტერბურგის საიუნკეროს, მიხაილოვის, კონსტანტინეს საარტილერიოსა და ნიკოლაევის საკავალერიოსი.

7 აგვისტოს ხელმწიფე დედოფალმა მარიამ თეოდორეს ასულმა გააბედნიერა თვისს მიბრძანებით კრასნოე სელოს სამხედრო საავადმყოფო.

8 აგვისტოს, ნაშუადღევის 6 საათზე უმაღლესის თანდასწრებით დაათვალიერეს კრასნოესელოს ბანაკი.

9 აგვისტოს დილის 11 საათზე უმაღლესის თანდასწრებით დაათვალიერეს ჯარები ბანაკში კრასნოე სელოს ახლოს. ჯარების დათვალიერების შემდეგ მისმა უდიდებულესობამ მიულოცა იუნკრებს ოფიცრობის მიღება და განაცხადა, დარწმუნებული ვარ, ისევე ერთგულ სამსახურს გაუწევთ სამშობლოს, როგორც თქვენი წინაპარნიო; ამასთან უსურვა მათ წარმატება სამსახურში. საყვარელ ხელმწიფის სიტყვებს ახალგაზრდობა „ურა"-ს ძახილით მიეგება. ახალგაზრდა ოფიცრები, ხელმწიფე დედოფლისა და დიდის მთავრინების კამერ-პაჟები გაბედნიერდნენ და ბრძანებანი სამსახურში წარმატების შესახებ მიიღეს მათის უდიდებულესობათა და მათის უმაღლესობათა ხელით. შემდეგ სამეფო კარავში გაიმართა საუზმე, რომელსაც დაესწრნენ უმაღლესნი გვამნი და მიწვეულნი იყვნენ უფროსნი. საუზმის შემდეგ მათი უდიდებულესობანი „ურა"-ს ძახილით გააცილეს.

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და კრასნოე სელოში დაათვალიერა ჯარი. მისმა უდიდებულესობამ ჯარი კარგ წესსა და რიგზე ნახა და გულწრფელი მადლობა გამოუცხადა მთავარ-სარდალს, დიდ მთავარს ვლადიმერ ალექსანდრეს ძეს.

გამოქვეყნებულ იქნა უმაღლესი რესკრიპტი მის უმაღლესობის დიდ მთავრის ვლადიმერ ალექსანდრეს ძის სახელზე, რომელსაც გამოეცხადა უმაღლესი მადლობა მისს უმაღლესობის ხელქვეით ოლქის ჯარის ჩინებულ მდგომარეობის გამო და კარგად შესრულებისათვის რთულ სამობილიზაციო საქმეებისა, როგორც საინჟენეროსი ფინის ყურეს სანაპიროზე ისე პირველ საარმიო კორპუსის სათადარიგო ჯარის გაწვევის დროს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

—



СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო [illegible] ახლოს. (წ.—176—74)

ქუთაისში
კბილის ექიმი
დავით ს-ძე რიჟინაშვილი
პუშკინის ქუჩა № 10, სახლი გოკიელოვისა მიიღებს დილის 1—2 საათზე, საღამოს 5—7 საათზე.
(30—3512—4)

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა
იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

ამხანაგობა რუსეთ-ამერიკის რეზინის მანუფაქტურისა
პეტერბურგში.
დაარსებული 1860 წელს

სთხოვენ მყიდველთ რეზინის კალოშებისა ყურადღება მიაქციონ კალოშის ნიშანს:


1860
Т.Р.А.М.
С.ПЕТЕРБУРГЪ.

განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წლისთვის „1860" და სიტყვას „С.-ПЕТЕРБУРГЪ" წითელ სამკუთხეში (ფაბრიკის ნიშანი).
(680—7)